ს.ს.ი.პ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის"

სარევიზიო კომისიის სხდომის

ოქმი

11 აპრილი, 2013 წელი

ს.ს.ი.პ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" სარევიზიო კომისიის სხდომა გაიმართა ქ. თბილისში, ძმ. ზუბალაშვილების 36, ს.ს.ი.პ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის " ოფისში. სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ არჩეული სარევიზიო კომისიის შემდეგი წევრები:

მაკა ჯაფარიძე- სხდომის თავმჯდომარე

ანა ხარაიშვილი- წევრი

ლევან ჩხეიძე -წევრი

აკაკი ჩარგეიშვილი – წევრი

ქეთევან ჯაფარიძე-სარევიზიო კომისიის კოორდინატორი

სხდომას არ ესწრებოდა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე მარიამ კუბლაშვილი. 2012 წლის 13 ნოემბრის სარევიზიო კომისიის გადაწყვეტილების თანახმად, კომისიის თავმჯდომარის სხდომაზე არყოფნის შემთხვევაში, სხდომის თავმჯდომარის ფუნქციებს შეასრულებს მაკა ჯაფარიძე.

სხდომის დაწყების დრო: 19:00

დღის წესრიგი:

1. „MN-აუდიტი”-ს წარმომადგენლ – იური პაპასქუას მოხსენების მოსმენა ასოციაციის აუდიტორულ შემოწმებასთან დაკავშირებით.

ბატონ იური პაპასქუამ წევრებს გააცნო ინფორმაცია ასოციაციაში ჩატარებული აუდიტორული შემოწმების შესახებ. მან განაცხადა, რომ აუდიტის მიზანია დადგინდეს გახარჯული თანხა არის თუ არა გაწერილი მუხლობრივად ბიუჯეტში და განისაზღვროს ასოციაცის ფაქტობრივი შემოსავლების და გაწეული ხარჯების მიზნობრიობა. შესაბამისად, იგი წევრებს მიაწოდებს ინფორმაციას ასოციაციის აუდიტორული შემოწმების მიზნით ჩატარებული სამუშაოს შედეგად გამოვლენილი ხარვეზების შესახებ, თუმცა იქვე განმარტა, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია არ ატარებს საბოლოო შეფასების ხასიათს.

იური პაპასქუამ განაცხადა, რომ დოკუმენტების და ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის შედეგად, მიღებულ იქნა საკმაოდ არასასურველი სურათი. მან ისაუბრა ასოციაციის ბიუჯეტში არსებული ხარვეზების შესახებ, კერძოდ აღნიშნა, რომ შემოსავლითი ნაწილის დამუშავებისას სალაროს ორდერებში არსებული ინფორმაცია არ არის პროგრამულად აღრიცხული; არის შემთხვევები, როცა გასავლის ორდერებში მითითებული მიმღები პირის ხელმოწერით დადასტურებული თანხის რაოდენობა არ ემთხვევა გასავლის ორდერზე მითითებულ თანხის რაოდენობას; სალარო შემოსავლის ორდერები საჭიროებს გადამოწმებას; აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებები არ იძლევა სრულყოფილ ინფორმაციას დაზუსტებული ბიუჯეტის შესახებ; 2012 წლის ბიუჯეტის გარდა, არცერთ ბიუჯეტს არ ახლავს შემოსავლითი ნაწილი; წარმოდგენილ ბიუჯეტებში არ არის მუხლობრივი თანხვედრა; ასოციაციის ბიუჯეტი არ არის სტრუქტურულად ჩამოყალიბებული; რაც ხელს უშლის შესადარი ინფორმაციის დინამიკაში შედარებას და რეალური სურათის დადგენას; სერიოზული ხარვეზებია დოკუმენტებთან, ანგარიშგებას და აღრიცხვასთან დაკავშირებით.

იური პაპაქუამ აღნიშნა, რომ არსებული ფაქტობრივი სურათი კიდევ ერთხელ განიხილება ბუღალტერთან და შემდგომი პრევენციის მიზნით, ყველა შენიშვნა იქნება ასახული საბოლოო ანგარიშში. თუმცა ამ ეტაპზე უკვე იკვეთება, რომ ერთ-ერთი რეკომენდაცია შეეხება ბიუჯეტის სწორ დაგაგმვას, რაც ითვალისწინებს პროფესიონალის ჩარევას ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში, რათა არ მოხდეს ბიუჯეტის დაგეგმვის და ხარჯის აცდენა. საუბრის ბოლოს, მან განაცხადა, რომ ვინაიდან, მას ამ დრომდე არ მიეწოდა 2010-2012 წლების დაზუსტებული ბიუჯეტები და ანგარიშგების ფორმები, იგი წერილობითი ფორმით მიმართავს

ასოციაციის თავმჯდომარეს აღნიშნული დოკუმენტების (დამოწმებული ხელმოწერით და ბეჭდით) მიღებასთან დაკავშირებით, რათა სრულყოფილად განხორციელდეს აუდიტორული შემოწმება და დადგინდეს ასოციაციის ფაქტობრივი შემოსავლების და გაწეული ხარჯების მიზნობრიობა.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. აკაკი ჩარგეიშვილმა განაცხადა, რომ სარევიზიო კომისია, მათ შორის აუდიტორული მომსახურება მოქცეულია გარკვეული ვალდებულებების ქვეშ, რომლებიც განსაზღვრულია ასოციაციის წესდებით და ადვოკატთა კანონით. აუდიტორული მომსახურების მიმდინარეობისას, ასოციაცია ვალდებულია ჩაერთოს პროცსში და აღმოუჩინოს დახმარება სარევიზიო კომისიას, შედეგად მიღებულ უნდა იქნას საპროექტო დასკვნა, რომელიც ხელმოწერამდე უნდა მიეწოდოს აღმასრულებელ საბჭოს. მან შესთავაზა წევრებს წინადადება, რომ მ/წ 26 მარტის გადაწყვეტილების თანახმად, მიმდინარე წლის 20 აპრილამდე, აუდიტორულმა კომპანიამ წარმოადგინოს უკვე ჩატარებული აუდიტორული მომსახურების შესახებ იურიდიული დოკუმენტი (საპროქტო დასკვნა) არსებული ფაქტობრივი სურათის ასახვით, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი ყველა მოთხოვნის და ხარვეზის შესახებ ინფორმაცია, თუმცა არ იქნება დაფიქსირებული რეკომენდაციები. ამით დაიხურება აუდიტი. აღნიშნულ დოკუმენტს გაეცნობა სარევიზიო კომისია და შემდეგ გადასცემს აღმასრულებელ საბჭოს. აკაკი ჩარგეიშვილმა მიმართა წევრებს, რომ თუ ყველა თანახმა იყო მიეღოთ აღნიშნულ წინადადებაზე გადაწყვეტილება. წევრებმა მოისმინეს წინადადება, მათი მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა და სხდომაზე კენჭისყრის შედეგად (გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად) მიღებულ იქნა შემდეგი

დადგენილება:

1. მიმდინარე წლის 20 აპრილამდე, აუდიტორული კომპანიის - „MN-აუდიტი”-ს მიერ წარმოდგენილ იქნას ასოციაციაში ჩატარებული აუდიტორული მომსახურების შესახებ იურიდიული დოკუმენტი (საპროქტო დასკვნა) არსებული ფაქტობრივი სურათის ასახვით, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი ყველა მოთხოვნის და ხარვეზის შესახებ ინფორმაცია, თუმცა არ იქნება დაფიქსირებული რეკომენდაციები. სარევიზიო კომისია გაცნობის შემდეგ, აღნიშნულ დოკუმენტს მიაწოდებს აღმასრულებელ საბჭოს.

სხდომის თავმჯდომარე- მაკა ჯაფარიძე

წევრი - აკაკი ჩარგეიშვილი

წევრი - ანა ხარაიშვილი

წევრი- ლევან ჩხეიძე